ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47223136**
თარიღი:**09/11/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის - კახაბერ სიხარულიძისა და საკრებულოს წევრის (პარტიული სიით) - მაია გიორგაძის ანგარიში, 2021 წლის დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 01 ნოემბერი 2022 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთული.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდმარე - ლაშა თოლორდავა;

კახაბერ სიხარულიძე - მაჟორიტარი დეპუტატი, ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მაია გიორგაძე - საკრებულოს წევრი;

მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი-ბენია ლომაძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

არასამთავრობო ორგანიზაცია - გურიის სამოქალაქო ცენტრის წარმომადგენელი - თამთა ცინცაძე;

ამომრჩევლები.

საკრებულოს წევრმა, ლაშა თოლორდავამ, აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე და საკრებულოს რეგლამენტის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ჩვენს მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანაგრიშის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დამსწრეთ წარედგინა ანგარიში 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მათ ისაუბრეს ამომრჩეველთა პრობლემეური საკითხების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე. მათ აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ქონდათ ამომრჩვლებთან (მოქალაქეებთან). მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა. არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების შეძენის თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის შესაბამისად.

უფლებამოსილების ფარგლებში ისინი მონაწილეობას იღებდნენ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში, ჩართულიიყვნენ მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების გაცემის წესის შემუშავებაში, მერის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად ღებულობდნენ მონაწილეობას სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებაში.

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ:

ხიდისთავის მკვიდრმა, ზაზა ბასილიამ აღნიშნა, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ზენობნის გზის გარკვეული მონაკვეთი, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ რეაბილიტირებას;

ასევე აღინიშნა, რომ წლებია მძიმე მდგომარეობაშია, როგორც ბუკნარი-ქვენობანი-ხიდისთავის დამაკავშირებელი, ისე შიდა გზები.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

დეპუტატებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნეს, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი.

ასევე, მადლობა გადაუხადეს მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდნენ მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თავმჯდომარე....

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი